


„ჩვენი გამარჯვება კაცობრიობის ისტორიის მაღალი მწვერვალია. მან გვიჩვენა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიდიადე. გვიჩვენა კომუნისტური იდეების ძლევამოსილება, თავდადებისა და გმირობის გასაოცარი ნიმუშები — ყოველივე ეს უეჭველად ასეა. მაგრამ დაე იყოს მშვიდობა, რადგან იგი ძალზე სჭირდებათ საბჭოთა ადამიანებს, და საერთოდ ქვეყნად ყველა პატიოსან ადამიანს".

ლ. ი. ბრეჟნევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაშ გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას, მაისის დროშის ელვას დიდება!**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№30 (6155)

9 მაისი, სამშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



თბილისი. ყვავილები ჯარისკაცის საფლავთან.

ჯ. ლომაძის ფოტო.

## ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა

7 მაისს მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. შეელისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის მიწვევით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. კოვალიოვი. (საკდეს).

## გამარჯვების დღის აღსანიშნავად

**დღეს** საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები, მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 33-ე წლისთავს. საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. უსტინოვმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით ამ დღესასწაულის აღსანიშნავად 9 მაისს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ოცდაათი საარტილერიო ზალპით მიეცემა სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში მურმანსკში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ხაბაროვსკსა და ვლადივოსტოკში.

## გულთბილი შეხვედრები გორში

### კონსტანტინე ლესელიძის მემორიალი

**7 მაისს** გორში საზეიმოდ გაიხსნა მოკრივეთა ტრადიციული, რიგით მეორე საკავშირო ტურნირი, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის გმირის, მე-18 არმიის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნას.

...ქალაქ გორის მშრომელები დილიდანვე მოუთმენლად ელოდნენ ძვირფას სტუმრებს — ლეგენდარული მე-18 არმიის ყოფილ მეომრებს, ჩვენი სახელოვანი თანამემამულის კონსტანტინე ლესელიძის თანამებრძოლებს, მათ, ვინც იმ ქარცეცხლიან დღეებში გმირულად იბრძოდა „მცირე მიწაზე", რომელთა სიმამაცის შესახებ ასე გულთბილად წერს თავის წიგნში „მცირე მიწა" სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

და აი, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე შემოდის ავტობუსი, საიდანაც გადმოდიან მრავალი საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული, თმაშევერცხლილი ომის ვეტერანები. ყვავილები, გულთბილი მისალმებანი... ძვირფასი სტუმრები ესწრებიან საკავშირო ალკკ სამხედრო სპორტული თამაშების „ორლიონოკის" საქალაქო ფინალის გახსნას, გვირგვინითამკობენ ჯარისკაცის ძეგლს, ათვალიერებენ ი. ბ. სტალინის სახლ-

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •



**სურათზე:** მე-18 არმიის ვეტერანებმა გვირგვინებით შეამკეს ჯარისკაცის ძეგლი გორში.

ვ. გენგიურის ფოტო.

# მაშ გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას!





## გულთბილი შეხვედრები გორში

დასასრული

მუზეუმს, საბრძოლო დიდების მუზეუმს და, ბოლოს მიდიან გორის საჭიდაო დარბაზში, რომელიც ამ დღეებში კრივის არენად იქცა.

საზეიმო მარშის ხმაზე შემოდიან კ. ლესელიძის მემორიალის მონაწილე სპორტსმენები, მსაჯები. შეჯიბრებას ხსნის საქართველოს კომპარტიის გორის ქალაქკომის პირველი მდივანი ბ. მაყაშვილი. მონაწილეებს მიესალმება მე-18 არმიის ვეტერანი, გენერალ-ლეიტენანტი ნ. სოლოვეიკინი.

დიქტორი დამსწრეთ აცნობს მემორიალის საპატიო სტუმრებს — მე-18 არმიის ვეტერანებს, რომლებსაც გადასცემენ ყვავილებს, სამახსოვრო საჩუქრებს...

შემდეგ კი რინგზე იწყება უკომპრომისო ორთაბრძოლები.

სურათებზე: ჯარისკაცის ძეგლთან; რინგზე იწყება უკომპრომისო ორთაბრძოლები.

ვ. გენგიურის ფოტოები.

(შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში).

# მისი მოწოდება

### ვეტერანი — სპორტის სამსახურში

...იგი არ შემკრთალა ნაღმის პირველი აფეთქებისას. მთებში გზას განაგრძობდა და თან სატელეფონო კაბელის მძიმე ხვეულას მიათრევდა. არ გაქცეულა, როცა მშობლიურ კავკასიას შესეული გერმანელთა ტანკები დაინახა. ეს ახალგაზრდა იყო თბილისელი მუშა, რომელსაც ჯიბეში კომკავშირელის ბილეთი ედო. უკან იყო მშობლიური სახლი თბილისში, ლოტკინის მთაზე, 26 კომისრის სახელობის ქარხანა, სადაც სახარატო დაზგასთან პირველად გამოჩარხა თავისი პირველი დეტალი. მისთვის არ უსწავლებიათ ბრძოლა — ყველაფერი უცბად მოხდა. 40-ანი წლების კომკავშირელები შრომის ფერხულში ჩასაბმელად ემზადებოდნენ. 20 წლის ჭაბუკმა პატიოსნად შეასრულა პატრიოტული და კომკავშირული ვალი.

აი, რა წერია დასაჯილდოებელ პატაკში: „გააფთრებულ ბრძოლაში, მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ აღადგინა კავშირი, რითაც უზრუნველყო ქვეგანაყოფების წინსვლა და ხელი შეუწყო წარმატებას".

უმცროსი სერჟანტის რაჩიკ მამაჯანოვისთვის ეს იყო ბრძოლაში გამარჯვების პირველი სიხარული. სანიტრებმა იგი მძიმედ დაჭრილი, გონდაკარგული გამოიყვანეს ფრონტის ხაზიდან. პირველი, რაც ჰოსპიტალში გამოფხიზლებისას იგრძნო, იყო ყველაზე საშინელი... მისთვის მარცხენა მკლავი მოეკვეთათ.

ერთმანეთს გადაება უძილო ღამეები, ეჭვები და ცრემლები. აქამდე ცხოვრების მიზანი ნათელი იყო — სკოლა, ქარხანა, სპორტი, მუსიკა. ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს.

— ჩვენი ლოტკინელი ჭაბუკი! — სიამაყით ამბობდნენ დიდები და პატარები ომისშემდგომ პლეხანოვის სახელობის კლუბში გამოსულ შავგვრემან, ძალიან გამხდარ, მორცხვ ჭაბუკზე. იგი გაწუნებულ გიმნასტურაში გამოწყობილი დაბნეული იდგა სცენაზე. მუსიკის ჰანგები იფრქვეოდა ირგვლივ.

მუსიკალური ექსცენტრიკები ახლაც ბევრია. მათგან მაშინ, ომის შემდეგ, ამ ჟანრის თვითმოქმედი არტისტი, ისიც ინვალიდი და ორდენოსანი...

და მაინც ეს არ იყო მისი მოწოდება. კომკავშირის ლენინის რაიკომმა იგი მწვრთნელთა მოსამზადებელ კურსებზე გაგზავნა...

რ. მამაჯანოვმა მუშაობის 30 წლის მანძილზე ბევრ კარგ ფეხბურთელს მისცა საგზური დიდ სპორტში. მისი პირველი აღზრდილთაგანია თბილისის „დინამოს" ცნობილი მცველი ვლადიმერ ელოშვილი. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მას წერილებს უგზავნიან ისინი, ვინც პირველად დაარტყა ფეხი ბურთს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" სტადიონზე, სადაც იგი წლების განმავლობაში მუშაობს მწვრთნელად და დირექტორად. აქ სტუმრად მოდიან, თამაშებს უყურებენ ხელმძღვანელები, საამქროს უფროსები, საწარმოს ცვლის ოსტატები, რომლებმაც სპორტის საშუალებით გაიკვლიეს გზა ცხოვრებაში, დავაჟკაცდნენ და პიროვნებად ჩამოყალიბდნენ. სტადიონზე დადიან მშობლები ბიჭუნებისა, რომელთაც მან არა მარტო ბურთის თამაში, არამედ სხვა საჭირო ჩვევაც ჩაუნერგა.



პატარები, წვრთნისა და თამაშის საშუალება რომ არ დაჰკარგოდათ, სასწრაფოდ ასწორებდნენ ორიანებს, აღარ იმართებოდა ჩხუბი, გამოუსწორებელი ხულიგნებიც კი ცხვრებივით ხდებოდნენ.. ფეხბურთისა და გუნდის გულისთვის სკოლას უბრუნდებოდნენ განთესილი ბავშვები... და ყველა პოულობდა ადგილს ცხოვრებაში. სტადიონი მათთვის მეორე ოჯახი იყო.

მაგრამ ეს მისი ბიოგრაფიის მხოლოდ ნაწილია. საქმე არა მარტო სპორტულ შედეგებშია, თუმცა კომბინატის გუნდი (ამჟამად სპორტკლუბ „ივერიად" წოდებული) წლების განმავლობაში იყო თბილისის ჩემპიონი და პრიზიორი, ქალაქისა და „განთიადის" თასის მფლობელი. უთუოდ აღსანიშნავია ის გულისყური, რომელსაც მამაჯანოვი ყრუ-მუნჯი ფეხბურთელების მიმართ იჩენდა. მან სპეციალურად შეისწავლა მათი „ენა". ამ გუნდმა ხომ სპეციალურ პირველობაში სამჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. მისი სამი მოთამაშე ქვეყნის ნაკრების წევრი იყო.

40-იანი წლების კომკავშირელი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი და ინვალიდი, გულისხმიერი მეგობარი და ამხანაგი, ბრწყინვალე მეოჯახე. აი, რა შეგვიძლია ვთქვათ საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელზე, ორდენოსანზე, ექვსი მედლის კავალერ რ. მამაჯანოვზე, კაცზე, რომელმაც მრავალი წლის ძიების შემდეგ მისი ცხოვრების ნამდვილ მოწოდებას მიაგნო.

ბ. კოვალიოვი.

* * *

სურათზე: რ. მამაჯანოვი მორიგ მეცადინეობაზე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

# წარმატებას გისურვებთ!

## „ლელოს" ინტერვიუ



ბიდგოშჩის (პოლონეთი) ქალთა II საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 12-26 აპრილს მოეწყო, თავი ისახელა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის პირველკურსელმა, ოსტატმა **ნინო გურიელმა**. ბრწყინვალე თამაშით მან I ადგილი და საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიპოვა. ბიდგოშჩის ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთი იყო: I. ნ. გურიელი — 11,5 ქულა, II. ს. ვოკრჟალოვა (ჩეხოსლოვაკია) — 10, III-IV. გ. ბაუმშტარკი, მ. ტეოდორესკუ (ორივე — რუმინეთი) — 9-9, V-VI. ა. იურჩინსკა (პოლონეთი), პ. ფოისტელი (გდრ) — 8,5-8,5, VII-IX. ბ. სიკორა (პოლონეთი), ე. ნიუნჰერტი (გდრ), ვ. კრუმოვა (ბულგარეთი) — 8-8, X. მ. ვიეზე — 7,5, XI. კ. რაძიკოვსკა (ორივე — პოლონეთი) — 6,5, XII. დ. ხონფი (უნგრეთი) — 6, XIII-XIV. ა. ვან დერ გისენი (ჰოლანდია), ნ. იაგოდინსკა (პოლონეთი) — 5,5-5,5, XV. ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა (იუგოსლავია) —5, XVI. ე. ჩისი (პოლონეთი) — 3,5.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის თ. გიორგაძის საუბარს ნინო გურიელთან.

● **ჩანს, ბიდგოშჩის ტურნირი ახალი შეჯიბრებაა პოლონეთის საჭადრაკო ცხოვრებაში. როგორ ტარდება იგი, ვინაა მასპინძელი?**

— შარშან ბიდგოშჩში შემოუღიათ საჭადრაკო ფესტივალი. ერთდროულად სამი ტურნირი ტარდება: ქალთა საერთაშორისო, ჭაბუკებისა და საქალაქო პირველობები. ამ შეჯიბრებებს მფარველობს ბიდგოშჩის მეტალურგიული ქარხანა, რომლის დირექტორის რიჩარდ ვიეზეს 17 წლის ქალიშვილი მალგოშა პერსპექტიული ოსტატია.

● **ორიოდე სიტყვა მონაწილეებსა და სპორტულ ბრძოლაზე.**

— ტურნირში ცნობილი მოჭადრაკეების მხარდამხარ ნიჭიერი ახალგაზრდები იბრძოდნენ. სტარტზე რვა საერთაშორისო ოსტატი გამოვიდა, ამიტომ ფიდე-მ თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო ჩვენი ტურნირი და საერთაშორისო ოსტატის ნორმატივიც დაგვიწესა — 11 ქულა. ამ მაღალმა მოთხოვნამ შესამჩნევად გაამძაფრა პაექრობა. მეც ძალიან მოვინდომე — უკვე II ტურიდან ბოლომდე ვლიდერობდი. ერთხანს ვოკრჟალოვა შეეცადა დამწეოდა, მაგრამ VII ტურიდან ხელი აიღო განზრახვაზე. ამ დროს მე 6 ქულა მქონდა, მას — ქულანახევრით ნაკლები. ეს სხვაობა

# ...სპაისის დროშის ელვას დიდებას!

## მოგონებათა ფურცელი

# ...ავკასიონთან, ...აგანგებოდ

...ვარძელში ზის ჩაფიქრებული, ...მიანი გარეგნობის ჭაღარა კაცი. ...მოჭუტული თვალებით ფიქრის ...ში ჩაძირული ერთ წერტილს მი-...ებია.

...ონებათა ბურუსში გახვეული ...ხმით ჰყვება გარდასული დღე-...შესახებ.

1933 წელს დაიწყო დავით ფურ-...ძის მთამსვლური ცხოვრება. სა-...ველოს გეოგრაფიული და პრო-...რული ტურიზმისა და ექსკურ-...საზოგადოების საზიარო ექს-...ციას ალ. ჯაფარიძე ხელმძღვანე-...და.

— სწორედ ალიოშა ჯაფარიძის ...ახურებაა მთამსვლელობამ რომ ...ტაცა, ჰყვება პატივცემული და-... — ვმონაწილეობდი მეორე ...ლეტარული ტურიზმისა და ექს-...იათა საზოგადოების ექსპედიცი-..., რადგან ჩემი ცხოვრება ამ დრო-... სამთო ტურიზმთან იყო დაკა-...რებული. ამასთან მას ჩემთვის ...ეტიკურ-შემეცნებითი მნიშვნელო-... უფრო ჰქონდა, ვიდრე წმინდა სპო-...ტული.

40-იან წლებში სამთო-მაშველ რა-... დაიწყო მუშაობა. ჯგუფს, რო-...ლიც უხიფათობის უზრუნველსა-...ად მეტად რთულ პირობებში სა-...ანობდა, ალ. ჯაფარიძე ხელმძღ-...ლობდა. დავით ფურცელაძე მოა-...ლის მოვალეობას ასრულებდა, ხო-... ზამთარში ყაზბეგის სამაშველო ...გურის უფროსად მუშაობდა. იგი ...ართველოს ალპური კლუბის დაა-...ბის უშუალო მონაწილეა და 50-... წლებამდე ამ კლუბის პრეზიდიუ-...მის წევრი იყო.

...ივე ფიქრებმა გაიტაცა ჭაღარო-...: „დიდი სამამულო ომი დაიწყო. ...რმანელების რჩეული სამთო-მსრო-...ლი დივიზიები კავკასიას ემუქრე-...ნენ. წამოიჭრა სამთო-მსროლელი ...ვიზიების შექმნის საკითხი. ამის გა-...საწყვეტად სასწრაფო ღონისძიე-...ბი მიიღეს. მთავრობის განკარგუ-...ლებით ყველა ცნობილი მთამსვლელი — რამდენიმე ათეული კაცი კავკა-...ში გამოგზავნეს და ათიოდ დღეში, ...ილისში შეიქმნა საგანგებო ...მამსვლური რაზმი, რომელიც სულ ...ლე აფხაზეთისა და სვანეთის მნი-...ვნელოვანი უღელტეხილებისკენ გაე-...ურა.

სამთო-მეომართა მომზადებაში თა-...ვისი წვლილი ფურცელაძესაც მიუძ-...ღვის. იგი კ. ჯავრიშვილთან, ი. მარ-...ან და დ. წერეთელთან ერთად მთა-...ში მოძრაობის წესებს აჩვევდა მეომ-რებს, რომლებსაც კავკასიონიდან მტერი უნდა განედევნათ. მთელი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მოახმარა მაშინ დავითმა სამთო ნაწილების გაწაფვას, ალპინიზმის ინსტრუქტორთა კადრების შერჩევა-მომზადებას. სპეციალურად მოწყობილ მეთაურთა მოსამზადებელი კურსებისთვის სულ რამდენიმე დღეში მოამზადეს საჭირო აღჭურვილობა. შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის სამხედრო ნაწილი და დავით ფურცელაძე ამ ნაწილის ჯერ მასწავლებელი, ხოლო შემდეგ, ომის დასასრულამდე შტაბის სასწავლო ნაწილის გამგე იყო.

— ვინ იცის, რამდენმა ჭაბუკმა გაიარა ჩემს ხელში, — განაგრძობს ვეტერანი ალპინისტი. — ყველა მათგანის გახსენება შეუძლებელია, მაგრამ ყველაზე უკეთ შალვა ასათიანი და დათა ბაბაკაშვილი დამამახსოვრდა. კარგი ბიჭები იყვნენ. კავკასიონზე მტრის ტყვიას გადაურჩნენ, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპნენ.

ალბათ კიდევ ბევრი რამის მოყოლა შეუძლია დავით ფურცელაძეს. არც არის გასაკვირი. აბა, მოგონებებს რა გამოულევს 75 წლის კაცს. შეუძლებელიცაა ამ პატარა წერილში ჩაეტიოს მის მიერ განვლილი დიდი ცხოვრება. დასავიწყარი კი არაფერია. მისი ცხოვრების მრავალი ეპიზოდი ხომ დაღუპულ მეგობართა ხსოვნასთანაა დაკავშირებული, მეგობართა ხსოვნასთან, რომლებიც მრავალჯერ შებმიან კავკასიონის მწვერვალებსა თუ იქ ასულ მოძალადე გერმანელ ფაშისტებს.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. დრო უებარი მკურნალიაო, უთქვამთ, მაგრამ წარსულის მძიმე ჭრილობა ხშირად ახსენებს თავს და ნაღვლიან მოგონებებს უღვიძებს.

დავით ფურცელაძე დღესაც ჭაბუკური გატაცებით ემსახურება საყვარელ საქმეს, პარალელურად ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწევა, ალპინიზმის მოყვარულთ საინტერესო ცნობებს აწვდის მთამსვლელობის ისტორიიდან. იგი არის ავტორი და შემდგენელი წიგნებისა — „კავკასიონზე“ და „მთამსვლელობა საქართველოში“.

...სავარძელში ზის ჩაფიქრებული, სანდომიანი გარეგნობის ჭაღარა კაცი, ოდნავ მოჭუტული თვალებით, ფიქრის მორევში ჩაძირული ერთ წერტილს მისჩერებია...

ჯ. ბახუტაშვილი.

„დინამოს“, რომელიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ფელიქს ძერჟინსკის თაოსნობით შეიქმნა, 55 წელი შეუსრულდა.

მას შემდეგ „დინამომ“ განვლო გზა მცირერიცხოვანი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან ლენინის ორდენოსანი ერთიანი საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებამდე.

საკავშირო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის „დინამოს“ საქართველოს ორგანიზაციას. საქართველოს დინამოელები მუდამ მოწინავეთა რიგებში იყვნენ საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, მათ შორის დიდი სამამულო ომის პერიოდში.

საქართველოს დინამოელებმა სამამულო ომის მძიმე წლებში პირნათლად მოიხადეს თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე. განსაკუთრებით ძნელი იყო ქლუხორისა და მამისონის ზეკარებზე ბრძოლის პერიოდი, როცა საქართველოს ფაშისტთა ურდოების შემოჭრა ემუქრებოდა. ყველგან შექმნილი იყო გამანადგურებელი ბატალიონები, რომელთა მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა მსროლელთა სექცია ა. ბაქრაძის მეთაურობით.

ბაკურიანის სასწავლო ბაზაზე დინამოელი ინსტრუქტორები ამიერკავკასიის ფრონტისთვის მთამსვლელებსა და სამთო-მოთხილამურეებს ამზადებდნენ. ბაკურიანის სკოლამ ბ. დიაჩკოვის ხელმძღვანელობით უმოკლეს ხანში აღზარდა სამთო ბრძოლის მრავალი სპეციალისტი, რომლებიც კლდეზე ასვლის ტექნიკას, სამთო-სათხილამურო ხელოვნებასა და მაღალმთიან პირობებში ბრძოლის წარმოების ტექნიკას ფლობდნენ.

სამთო-სათხილამურო მომზადება მიმდინარეობდა კოჯორში, სადაც მოეწყო საჯოველთაო სამხედრო სწავლების სათხილამურო ბაზა. ამ ბაზაზე ზამთრობით, ერთ ან ორ კვირაში სწავლობდნენ თხილამურებით სიარულსა და მთის პირობებში სამხედრო მოქმედებას.

მზადება მამისონისა და ქლუხორის ზეკარებზე ბრძოლის პირობების გათვალისწინებით მიმდინარეობდა.

## დინამოელთა წვლილი

ზაფხულობით კი უპირველესად მომავალ მესანგრეებს და მოცურავეებს აწრთობდნენ.

დინამოელები თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის ევაკოჰოსპიტლებში აწყობდნენ სპორტულ და საჩვენებელ გამოსვლებს. დიდი მუშაობა ჩაატარა „დინამოს“ აჭარის ორგანიზაციამ გემებსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებში, რისთვისაც უმაღლესი შეფასება და შავი ზღვის ფლოტის სარდლობის მადლობა დაიმსახურა.

„დინამოს“ სამრეწველო საწარმოებიც თავდაცვის საქმეს ემსახურებოდნენ — უშვებდნენ შესანიღბავ ბადეებს, სხვადასხვა სასწავლო იარაღს, მტრის ტანკების მაკეტებს და სამხედრო მომზადებისთვის სხვა დამხმარე სასწავლო საშუალებებს.

საქართველოს ბევრი დინამოელი იბრძოდა ფრონტზე. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ სპორტსმენებსა და აქტივისტებს ა. ლუშეცკისა და ა. პირმისაშვილს. კავკასიონის მთავარი ქედის ზეკარებზე ბრძოლაში 1942 წლის დეკემბერს მძიმედ დაიჭრა საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში, ნაღმტყორცნელი ვ. კუხიანიძე, სამშობლოსთვის თავი გასწირა საქართველოში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ა. საჯაიამ, აგრეთვე, ი. კოპეცკიმ, ვ. ბირშერდმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, მძლეოსანმა ი. კობზუნმა და შესანიშნავმა მოკრივემ ვ. რუდომიოტკინმა.

საქართველოს დინამოელებს სპორტული საქმიანობა სამამულო ომის მძიმე დღეებშიც არ შეუწყვეტიათ. ნ. დუმბაძემ ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ორჯერ (1943 და 1944 წ. წ.) გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭეს, აგრეთვე, მძლეოსნებმა ე. გოკიელმა (1944 წ.), გ. ათანელოვმა (1945); ძალოსნებმა მ. კასიანიკმა (1943 და 1944 წ. წ.), მ. ჟღენტმა (1943 და 1945), მოკრივეებმა შ. გორგასლიძემ (1944), ლ. ღუდუშაურმა (1945), ა. ნავასარდოვმა (1944); მოჭიდავეებმა გ. მაჩალიანმა (1945), ა. მეკოკიშვილმა (1945).

ომის წლებში „დინამოს“ ორგანიზაციების საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ დ. სამუშია, ბ. დიაჩკოვი, გ. კლიმუკი, მ. ამნიაშვილი.

ბ. ქვათაძე.

## ფოტომატიანე

1958 წელს ქალაქ მოსკოვში ჩატარდა სრულიად საკავშირო საცხენოსნო-სპორტული შეჯიბრება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და ცხენსაშენებს შორის (დოღი, დაბრკოლებათა გადალახვა, შეჯიბრებები ეროვნულ სახეობებში: ისინდში, ყაბახსა და სხვ.). ამ პირველ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ცხენოსანთა ნაკრებმა გუნდმა. ქართველ ცხენოსნებს დიდი დახმარება გაუწია ჩვენმა თანამემამულემ (აწ გარდაცვლილმა), ცხენოსნობის დიდმა ენთუზიასტმა, გენერალმა კაპიტონ ნაჭყებიამ. სწორედ ამ ღონისძიების დროს გადაღებულ ფოტოზე აღბეჭდილი არიან: (მარცხნიდან) საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ბუდიონი, არმიის გენერალი ი. ტიულენევი და გენერალი კ. ნაჭყებია.

თ. ქიქავა.



## სტარტზეა მშვიდობის ველორბოლა

მშვიდობის ველორბოლა-78-ში, რომელიც 10 მაისს გდრ-ის დედაქალაქ ბერლინში აიღებს სტარტს, საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებული ტარტუელი ა. პიკუუსი, ა. ავერინი, ა. გუსიატნიკოვი (ორივე — კუიბიშევი), ლენინგრადელი ს. მოროზოვი და ორი დებიუტანტი — დუშანბელი ს. ჰუსეინოვი და ი. ახალზოტა.

სსრ კავშირის ნაკრები ოცდამეხუთედ გამოვა ამ შეჯიბრებაში, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საგზატკეცილო ველომრბოლელთა საერთაშორისო კალენდარში.

მშვიდობის ველორბოლაში საბჭოთა სპორტსმენებმა 12-ჯერ გაიმარჯვეს. მათი ჯილდოების კოლექციაშია ინდივიდუალურ ჩათვლაში გამარჯვების ოთხი დაფნის გვირგვინი. 1954 წლიდან მოყოლებული ისინი 56-ჯერ იყვნენ პირველები ცალკეულ ეტაპებზე.

რიგით 31-ე მშვიდობის ველორბოლის ტრასის მარშრუტი ამჯერად ასეთია — ბერლინი — პრაღა — ვარშავა. მონაწილეებს მოუწევთ 12 ეტაპის გავლა.

საბჭოთა სპორტსმენებს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავთ. პირველ რიგში ესენი არიან გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე, იტალიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები. არცთუ ცოტაა გამარჯვებულის ტიტულის ღირსეული მაძიებელი ინდივიდუალურ ჩათვლაში, მათ შორის პოლონელი ს. შოზდა და ჰ.-ი. ჰარტნიკი (გდრ).

...მცვლილა, თუმცა და-...ში ყაიმით ვკმაყოფი-...ერთი პარტია არ წაგ-... სამ მონაწილეს — ... ტეოდორესკუსა და მე.

...მოვნოა, რომ შესრუ-...აშორისო ოსტატის ნო-...რიდის გააფორმებენ ...ეციალურად?

...მბერში, ფიდე-ს მორიგ ... რომელიც არგენტინაში

...ტერესო პარტიები თუ

...რ არა. კარგი იყო პარტი-...ელთან, ტეოდორესკუსთან, ... ნიუნჰერტთან. აი, ერთ-...ნი (ნინომ გადმოგვცა პა-...ტურ):

### ნიუნჰერტი — გურიელი

**უფიმცევის დაცვა**

1.e4 d6 2. d4 მf6 3. მc3 g6 4. მf3 კg7 5. კe2 0—0 6. h3 c6 7. a4 მbd7 8. 0—0 e5 9. de de 10. კe3 ლe7 11. მd2 მc5 12. კc4 ეd8 13. ლe1 მh5 14. მb3 მe6 15. მe2 მhf4 16. ლa5 კd7 17. ეad1 b6 18. ლc3 b5 19. კd3 ლg5 20. მg3 h5 21. მd2 მd4 22. კ:d4 ed 23. ლa5 h4 24. მf3 ლf6 25. e5 მ:h3+ 26. მფh1 ლf4 27. მe2 ლg4 28. მh2 ლg5 29. f4 მ:f4 30. მ:f4 კ:e5 31. ლd2 ba 32. მh3 ლg3 33. მf4 g5 34. ეf3 კ:f4 35. კh7+ მფh8 36. ლ:d4+ კe5 37. ე:g3 კ:d4 38. ე:g5 კe6 39. კd3 კf6 40. ეa5 ეd4 41. ეa1 კd5 42. ე5:a4 h3 43. კf1 ეd2 44. ეg4 ეg8. თეთრები დანებდნენ.

● **უმწვრთნელოდ ხომ არ გაგიჭირდათ?**

— უმწვრთნელობა არ მიგრძვნია, რადგან მხოლოდ ორი პარტია მქონდა გადადებული. ჩანს, კარგად ვიყავი მომზადებული (ჩემი მწვრთნელია ოსტატი იური ჩიქოვანი), ამიტომაც დაჯერებულად, თამამად ვთამაშობდი, თუმცა მკაცრი რეგლამენტი გვქონდა.

● **რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად ბიდგოშჩში სტუმრობისას?**

— ბევრი რამ, მაგრამ მხოლოდ ორის შესახებ მოგითხრობთ. ფიდე-ს გენერალური მდივანი ქალბატონი ინესა ბაკერი ბიდგოშჩში საგანგებოდ ჩამოვიდა ჰოლანდიიდან და ტურნირის ბოლომდე დარჩა. მას ხშირად ვხედავდი. ერთხელ გამესაუბრა. მითხრა, რომ საქართველოში, თბილისსა და ბიჭვინთაში ყოფნისას და ჭადრაკის სასახლის დათვალიერების შემდეგ, აღარ მიკვირს ქართველი ქალების წარმატებები, უფრო მეტსაც მოველიო. მან გულთბილად გაიხსენა ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია, რომელთა მატჩის ფინალს დაესწრო თბილისში. თქვა ისიც, რომ დიდი სურვილი აქვს დაესწროს გაფრინდაშვილ — ჩიბურდანიძის მატჩს და ალბათ ჩამოვა კიდეც. მალგოშას მამას მან უთხრა, რომ გაისად სურს მე და მალგოშა მიგვიწვიოს ჰოლანდიაში ქალთა ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ.

ბიდგოშჩში ჩასვლისას წავიკითხე, რომ ფავორიტად მასახელებდნენ. გამიკვირდა, საიდან მიცნობენ-მეთქი. მერე მალგოშამ ამიხსნა, რომ ტურნირამდე ერთ-ერთ ჟურნალისტს გაზეთის მკითხველებისთვის გაუხსენებია ჩემი მონაწილეობა ქალთა 36-ე საკავშირო ჩემპიონატში და მოგებები მსოფლიო ჩემპიონთან და ორ პრეტენდენტთან.

● **როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?**

— ორიოდე დღეში მივემგზავრები ორჯონიკიძეში, სადაც არმიის სპორტული კლუბის გუნდის შემადგენლობაში ვითამაშებ საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდურ პირველობაში. მერე, რა თქმა უნდა, მინდა ვითამაშო ქალთა 38-ე საკავშირო ჩემპიონატში...

● ● ●

სურათზე: ოსტატი ნინო გურიელი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# დამსახურებული ჯილდო

„ვოდნიკის“ ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა საზღვაო და სამდინარო ფლოტების სამინისტროების ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების 1977 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

მასობრივ-სპორტული, ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის სოცშეჯიბრებაში გამარჯვება მიეკუთვნა „ვოდნიკის“ საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.

ამ დღეებში ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში გაიმართა „ვოდნიკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს აქტივის კრება, რომელზეც „ვოდნიკის“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელმა გ. კუხარენკომ ამ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს გ. იორაიშვილს საზეიმოდ გადასცა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა, სამახსოვრო თასი, ვიმპელი და საპატიო სიგელი.

კურსანტთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი დაჯილდოვდა ცენტრალური [illegible] და საპატიო სიგელით.

მაღალკვალიფიციური სპორტსმენების აღზრდის საქმეში თავი გამოჩენისა და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უნარიანი ხელმძღვანელობისთვის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, აქტივისტები და მწვრთნელები.

პ. კაზანოვსკი,
„ვოდნიკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



# ლევან თედიაშვილი — ევროპის სამგზის ჩემპიონი

**სოფიაში** დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპული ჩემპიონატი. ოთხი საბჭოთა ათლეტი — ბ. იბრაგიმოვი (მახაჩყალა), პ. მარტა (კიშინიოვი), ლ. თედიაშვილი (თბილისი) და ა. ბიგაევი (კიევი) გახდნენ კონტინენტის ჩემპიონები. მეორე ადგილებზე გავიდნენ ტ. ფაშაევი (ბაქო), ს. აბსაიდოვი და ი. გაიდარბეკოვი (ორივე — მახაჩყალა).

შესანიშნავმა ქართველმა მოჭიდავემ ლევან თედიაშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას ტოლი არ ჰყავს საჭიდაო ხალიჩაზე. იგი საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი გახლდათ და ყრილობას აღუთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატიდან გამარჯვებული დაბრუნდებოდა. მან სიტყვა საქმედ აქცია. სსრ კავშირის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი ი. შახმურადოვი თვლის, რომ თედიაშვილს ტოლი არ ეყოლება არც ოლიმპიადა-80-ის ქალაქში, მოსკოვში.

• • •

სურათზე: ლევან თედიაშვილი შვილებთან ერთად.

საქდესის. ფოტო.

## ძიუდო

### მოკრძალებული შედეგი

**ჰელსინკში** დამთავრდა ძიუდოისტთა ევროპული ჩემპიონატი. დიდი გამარჯვება იზეიმეს გდრ-ის მოჭიდავეებმა, რომლებმაც „საჩემპიონო“ მოსავალი მოიმკეს — 5 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. შეჯიბრების ბოლო დღეს უძლიერესთა ტიტულები მოიპოვეს იტალიელმა ფ. მარიანიმ (60 კგ), ხოლო აბსოლუტურში გდრ-ის მოჭიდავემ დ. ლორენცმა (მან ადრე ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა ასპარეზობაც მოიგო). დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ გდრ-ის სპორტსმენები ფ. რაისმანი (65 კგ), გ. კრიუგერი (71 კგ) და ხ. ხეინზი (78 კგ), საბჭოთა მოჭიდავე ა. იაცკევიჩი (86 კგ) და ჰოლანდიელი პ. ადელაარი (95 კგ-ს ზევით).

კონტინენტის პირველობათა 15-წლიან ისტორიაში ასეთი მოკრძალებული შედეგები საბჭოთა მოჭიდავეებს არ ჰქონიათ: მეორე ადგილი დაიკავა ნ. სოლოდუხინმა (65 კგ), ხოლო მესამე — ოლიმპიურმა ჩემპიონმა ს. ნოვიკოვმა (95 კგ-ს ზევით), ვ. გურინმა (95 კგ), ე. პოგორელოვმა (60 კგ) და ჯ. ნიკარაძემ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში.

ახლა ძიუდოისტებს ელით ევროპის გუნდური პირველობა, რომელიც ოქტომბერში პარიზში გაიმართება.

## უმაღლესი ლიგა

7 მაისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 2 კალენდარული მატჩი.

„ტორპედო“ — „სპარტაკი“ 2:2. ტორპედოელი გრიშინის გოლი გაქვითა გავრილოვმა და ეს იყო პირველი ბურთი, რომელიც 41-ე ჩემპიონატში გავიდა „ტორპედოს“ კარში. შემდგომში იურინმა ერთხელ კიდევ დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ „სპარტაკმა“ კოკორევის მიერ ზუსტად შესრულებული 11-მეტრიანი დარტყმის წყალობით შეძლო თავი დაეღწია დამარცხებისთვის. საინტერესოა, რომ აღნიშნულ შეხვედრაში დაინიშნა 3 პენალტი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იქნა რეალიზებული. ბუკიევსკიმ („სპარტაკი“) და ხრაბროსტინმა („ტორპედო“) ბურთები ვერ გაიტანეს.

„ნეფთჩი“ — „შახტიორი“ 1:0. ბაქოელებმა გაიმარჯვეს ბანიშევსკის მიერ გატანილი ბურთის მეოხებით. მატჩი მიმდინარეობდა ქარიშხლიან ამინდში.

**დღეს,** როგორც ცნობილია, ტაშკენტში გაიმართება ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ფახთაქორსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

ფეხბურთის მოყვარულებს მატჩის მეორე ნახევრის რადიორეპორტაჟი შეუძლიათ მოისმინონ 17 საათზე თბილისის დროით.

## ფეხბურთი

7 მაისს. შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის „ტორპედო“ ვილნიუსში შეხვდა ადგილობრივ „ჟალგირისს“ და ფრედ დაამთავრა თამაში — 1:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „თერგი“ (გროზნო) 3:0, „დინამო“ (მინსკი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „კარპატი“ (ლვოვი) 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — ასკ (ოდესა) 2:0.

## II ლიგა, IV ზონა

**6 მაისს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

„ზვეზდა“ (პერმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:0, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:1, „დინამო“ (კიროვი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:0, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „დილა“ (გორი) 2:0, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 6:1, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 1:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, „გასტელო“ (უფა) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 3:0, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:0, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:1, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი“ | 9 | 7 | 1 | 1 | 11—1 | 15 |
| „შირაკი“ | 9 | 6 | 2 | 1 | 18—9 | 14 |
| „ლოკომოტ.“ | 9 | 5 | 2 | 2 | 12—10 | 12 |
| „გურია“ | 9 | 4 | 3 | 2 | 12—7 | 11 |
| „დინამო“ ზ. | 9 | 4 | 3 | 2 | 11—6 | 11 |
| ფიზკ. ინსტ. | 9 | 4 | 3 | 2 | 11—9 | 11 |
| „ზენიტი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 9—7 | 11 |
| „ურალეცი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 13—12 | 11 |
| „დინამო“ ბ. | 9 | 4 | 2 | 3 | 10—6 | 10 |
| „ზვეზდა“ | 9 | 3 | 4 | 2 | 8—5 | 10 |
| „ყარაბახი“ | 9 | 5 | 0 | 4 | 9—6 | 10 |
| „დინამო“ ს. | 9 | 4 | 2 | 3 | 12—10 | 10 |
| „გასტელო“ | 9 | 4 | 1 | 4 | 11—11 | 9 |
| „დრუჟბა“ | 9 | 3 | 2 | 4 | 11—8 | 8 |
| „გაზოვიკი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 11—10 | 8 |
| „დილა“ | 9 | 2 | 4 | 3 | 9—11 | 8 |
| „ტორპედო“ | 9 | 2 | 3 | 4 | 6—7 | 7 |
| „რუბინი“ | 9 | 2 | 3 | 4 | 6—9 | 7 |
| „დინამო“ კრ. | 9 | 3 | 1 | 5 | 8—12 | 7 |
| „ტურბინა“ | 9 | 3 | 1 | 5 | 10—20 | 7 |
| „ავტომობ.“ | 9 | 3 | 0 | 6 | 6—13 | 6 |
| „პროგრესი“ | 9 | 2 | 1 | 6 | 11—16 | 5 |
| „ხაზარი“ | 9 | 2 | 1 | 6 | 7—15 | 5 |
| „არაზი“ | 9 | 1 | 1 | 7 | 8—20 | 3 |

## რაგბი

### წინ გადამწყვეტი შეხვედრებია

**გუშინწინ** ხარკოვის „მეტალისტის“ სტადიონზე 20 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა ევროპის ჩემპიონატის („ბ“ ჯგუფი) გუნდების ბოლო შეხვედრა. თამაშობდნენ გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები კოლექტივები. მასპინძლებს ამ მატჩის წაგებაც შეეძლოთ მცირე ანგარიშით, მაგრამ ისინი აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს — 64:9.

ახლა საბჭოთა სპორტსმენებმა 14 და 16 მაისს სარაევოსა და ბელგრადში ორი „გადასასვლელი“ მატჩი უნდა გამართონ იუგოსლაველებთან. გამარჯვებული კოლექტივი გაისვლის კონტინენტის პირველობაზე უმაღლეს ლიგაში გამოვა.

### სტუმართა უპირატესობით

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე კვირას გაიმართა სსრ კავშირის თასის პირველი ოცდამეთერთმეტედფინალური მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა“ და ქუთაისის „სახლმშენს“ შორის.

ნაწვიმარ მინდორზე გუნდებს ძალიან უჭირდათ ტექნიკური თამაშის ჩვენება, მაგრამ ორივე კოლექტივი მონდომებით იბრძოდა და შეხვედრაც საკმაოდ საინტერესოდ ჩატარდა.

„სახლმშენი“ უფრო გამოცდილი გუნდია. იგი სსრ კავშირის პირველობის პირველ ლიგაში გამოდის და შარშან, განსაკუთრებით პირველ წრეში, ხელშესახებ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ე. წ. ფინალურ შეხვედრებში ძალები არ ეყო და უმაღლესი ლიგის საგზურის გარეშე დარჩა.

წლეულს ქიათურაში გამართულ საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში „სპარტაკმა“ მატჩები უკეთესად ჩაატარა და „სახლმშენი“ ჩამოიტოვა, მაგრამ ახლა ქუთაისელები გაცილებით უკეთესად თამაშობდნენ.

შუა ტაიმამდე მინდორზე მიმდინარეობდა ღირსეულ მეტოქეთა დუელი. მერე მასპინძელთა დაცვაში ბზარი გაჩნდა. ამას ისიც დაემატა, რომ სპარტაკელთა ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა ლებანიძემ როცა ანგარიში 3:3 იყო, გუნდის დაწინაურების საშუალება ვერ გამოიყენა — საჯარიმო ცუდად დაარტყა. საერთოდ, ამ დღეს მას თამაში არ გამოუვიდა. მას შემდეგაც კი, როცა „სახლმშენმა“ (ჩუბინიძემ და თუთბერიძემ) ანგარიში 9:3-მდე აიყვანეს, ლებანიძემ ოთხი ხელსაყრელი საჯარიმო უზუსტოდ დაარტყა. სამაგიეროდ, სტუმართა გუნდის ყველა რგოლი შეთანხმებულად, თავგამოდებით იბრძოდა და საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მათ ახალ წარმატებას მიაღწიეს — ხომაშურიძემ სპარტაკელი მცველების უყურადღებობით ისარგებლა — ჯერ მათი „ქალაქი“ აიღო, ხოლო მერე რეალიზაციაც ზუსტად გამოიყენა.

„სახლმშენმა“ გაიმარჯვა — 15:3.

ჯ. ქვარცხავა.

„ლელოს“ მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 მაისს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

## 70-ე დაფაზე...

**გამარჯვების** დღესასწაულს სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებებით აღნიშნავს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი.

თბილისის ჭადრაკის სასახლე აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია ტრადიციულად ატარებს ამ დღეს საჭადრაკო ზეიმს. პროგრამა მრავალფეროვანია, მაგრამ ყველაზე ღირსსახსოვარი იქნება რესპუბლიკის წამყვანი დიდოსტატებისა და ოსტატების ერთდროული თამაშის სეანსი 500 დაფაზე. გულნაკლულნი არც შაშის მოყვარულნი დარჩებიან. ისინი 200 დაფაზე შეეჯიბრებიან ცნობილ მოშაშეებს ერთდროული თამაშის სეანსში. ზეიმის დასაწყისი 12 საათზე.

## ჰოკეი

**პრაღაში** დასასრულს უახლოვდება ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები.

6 მაისს შედგა ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონს, ჩეხოსლოვაკიის გუნდს ხვდა — 6:4. კანადისა და შვეციის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს კანადელებმა 7:5.

გუნდებმა, რომლებიც ცხრილის მეორე ნახევარში არიან განლაგებულნი, ასე ითამაშეს: გფრ — ფინეთი 5:3, გდრ — აშშ 3:7, გფრ — გდრ 1:1, ფინეთი — აშშ 3:3.

გუშინ ჩეხოსლოვაკია — შვეციისა და სსრ კავშირ — კანადის გუნდების შეხვედრით დამთავრდა შესარჩევი მატჩები.

## კალათბურთი

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში ტურნეს ატარებს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდი. მეორე შეხვედრაში მან ანგარიშით 84:62 დაამარცხა მიჩიგანის შტატის ნაკრები. საბჭოთა კალათბურთელებიდან განსაკუთრებით ისახელეს თავი თბილისელმა დერიუგინმა, რომელმაც გუნდს 23 ქულა შესძინა და კიეველმა ბელოსტენიმ — 20 ქულა.

**თბილისში** სტუმრად იყვნენ პრაღის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდები. მათ მონაწილეობა მიიღეს ბლიც-ტურნირში. ქალთა გუნდის წინააღმდეგ გამოდიოდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი და მეორე გუნდები. სამივე შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ 47:37, 67:45 და 56:50. ვაჟთა გუნდის მეტოქეები იყვნენ „დინამოს“ ახალგაზრდული შემადგენლობა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. ორივე მატჩში ქართველმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს 42:36 და 66:52.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 65435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 100016